

საქართველო

წ. I

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., კვარტალურად 3 მ., ცალკე ნუმერირით 1 მ. დასაბამით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთს წარუწონ ნაწილწლიურად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილწლიურად. განცხადების დღის: ჩვეულებრივი სტრუქტურის პირველ გვერდზე პეტრიტის ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრუქტურის პეტრიტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამკლავიანო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 126 ყოველდღიური საკომლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 126

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დღის ძუძუი, არ გაიცვლებს სხვაზედა, ორივე ტკბილია ძმობილა, მირჩვენის ორსვე თვალზედა, რაგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

სევერონი ლუარსაბის ძე მატარაძე, ლუარსაბ დიმიტრის ძე მატარაძე, ლილორსი პავლეს ასული მატარაძისა, სანდრო, სონა და მარო — ლუარსაბ მატარაძის ძე და ასულნი; ოსიგბ, ნიკოლოზ და ივანე დიმიტრის ძენი მატარაძეები; გვროსინე ნიქელის ასული, ლიონა პავლეს ასული და პასკო ნიკიფორეს ასული მატარაძისანი; ქიკიაკო მიხეილის ძე მატარაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველი დაუვიწყარი მეუღლისა, ხოლო დანარჩენნი ძვირფასი რძლის

ელისაბედ (ლიზა) ალექსი ლომიძის ასულის მატარაძის

უღროდ გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება დანიშნულია კვირას, 12 ივლისს, ნაშუადღევს 4 საათზე, საკუთარ სახლიდან ორპირის ქუჩის შესახვევში და დაკრძალვენ ოლაკუჩის სასაფლაოზე.

პანაშვილი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. 1—1

განცხადება.

ქუთაისის ზირველი და მესამე უმაღლესს ზირველდაწვებით სწავლებლებში და ზედგაგვიერ კურსებზე განმეორებითი განმეორება დანიშნულია 3-ს აგვისტოს, ხოლო სწავლებლებში მისაღები განმეორებები 27-ს და კურსებზე კი — 31-ს აგვისტოს.

სწავლა დაიწყება 7-ს აგვისტოს. 2—2.

ძმათა ყორყოლაძეების მღვაწიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

ვიღუპულია დიდალი

საპნის გასაპეთებელი „სოლა“

აქვე იქიდებთ ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფესები ყველაზედ სომეხური რაგორც წვრილბთ, აგრეთვე ნარდათ.

გრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა და მთავრებული მართვითი

ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მწიფეებს **ფრანგულ ენას.**

პრობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე.

საშუალო სწავლებლის უნგრის კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასის სწავლებლის ყველა კლასისთვის

ვაგჟაძემ მოწაფეებს, კესამეის დაქვრა უსწრებულ უფლებას.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, მარჯვენა-სურის ნიკაფორე ქათამისის სახლი № 32.

გაბრიელ იოსების ძე აქიმი გოკიელის ელიტარონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნერვებისა და ვენერული ავთომოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი გ. დ. ნასარქიძე შინაგანი, ნერვების და ბავშვის სწავლებით ავთომოფების იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთა 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი

8 მაისიდან მიიღებს ავთომოფების დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე. გომბიტის ქუჩა, მისეშვილის სახლი, საპნის ზირდაზირ № 6.

ექიმი ი. ჩარბოვი ქალაქ. საავთომოფის ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერული და სიფილისიანი ავთომოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლი. (თ.)

ექიმი რამიზიონი დამბრუნდა და განაახლა ავთომოფების (ქირურგიული და ქალურ ავთომოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავთომოფების მიღება — დილის 12 საათიდან 2 საათამდე. თ.

კერძო ექიმი მიხეილ კახიანი

კურსავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავთომოფთას. დეპუტატის დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა, პეტრე-პავლეს კვლ., სახლი დავ. კახიანი თვ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

გვურნავ მასაჟით, საპნით ვარჯიშობით. ესპანე სხეზე: მუწულებს, ნაოკებს, კორფებს მუტ სიწითლეს, ნაყვილილებს და ყოველგვარ სახის ავთომოფობას. ამასთან ვუტორი ყვივლას და აგრეთვე **ნაშვლით მარჩინ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქერტლს ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქერტლის მოსობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სციინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სიბილეს. ავთომოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: ვენერის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
საზაფხულო შემოგაზი.

ხუთშაბათიდან 9 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:

ლუიჯიანის დღეებზე, ანუ მილიარდების სიკვდილი.

განცხადება. დამით, 2 ივლისს ქუთაისიდან აჯამეთს შუა დაჯარგე თბილისის მატარებელზე, პორთფელი, რომელშიც იყო: ორი ვექსილი ასის თუმბინი, ჩემი პირადობის მოწმობა, ათი თუმბინი კვიტანცია თბილისის ხაზინისა და სხვა წერილები. მპონელს ვსთხოვ უმორჩილესად აღნიშნული პორთფელი დოკუმენტებით მოიტანოს, ან გამოგვიგზავნოს გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში ქ. ქუთაისში.

10—6 სიან სიკის ძე კალაძე.

სობროსთან, რეინაშვილის სახლი მოთავსებული სავაჭრო სახლი

მკომოაიშვილისა და ამს.

რომელიც ომიანობის გამო დროებით გადავიდა სოხუმიდან, ამ მოკლე ხანში ისევ ანრობს გადასვლას.

ამის გამო ყოველგვარი საქონელი მყიდველ საზოგადოებას დეფთობა ძლიერ სეღმისაწდომ ფასებში.

10—6 შატვისკემთ ფ. დ. კრქამაშვილი.

ომის დღიური.

ოლთისის მიმართულებით რუსების არტილერიამ გაფანტა ოსმალოთა ჯარი ახოს რაიონში. ოსმალოებმა სცადეს ეფრატის მარცხენა ნაპირზე, გადმოსვლა, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. ოსმალოებმა გასწინდეს კორმუნჯის პოზიციები. ვანის რაიონში აღდნეს ქურთები სოფ. დიზოდან.

რიგა-შავლის რაიონში ბრძოლა სწარმოებს მიტავის დასავლეთით და სოფ. იანიშკისთან.

ნარევის ფრონტზე გერმანელები უშენენ ოსტროლენკას და სტილობენ გაიჭრან როქანსა და პოლტუკას შუა მდებარე პოზიციებისაკენ.

ლიუბლინის ხაზზე ავსტრიელების იერიშები მოიგერიეს ნოდელ-ბიასკის ხაზზე.

სასტიკი ბძოლა გაჩაღდა ვებრეის ორივე ნაპირზე სოფ. სუხოლოთან და დაბა რეივეტთან.

ამ ბრძოლაში მთელი დღე გასტანა. ზოგიერთ ადგილზე გერმანელები იულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ბრძოლა გაგრძელდა ვოისლავეციდან გრუბეშოვამდე.

რუსის ჯარმა მტერი შეავიწროვა მდ. ბუგის მარჯვენა ნაპირზე ლიტოვიც-სოკალ-პოტურტიცეს ფრონტზე.

ამ ადგილებიდან მტერმა უკან დაიხია, რუსებმა ტყვეთ წამოიყვანეს ათასი კაცი.

ო მ ი

(პეტ. დებ. საგენტოსაგან)

კავკასიის ასპარაზი.

თბილისი. 8 ივლ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 6 ივლისს ზღვის რაიონში სროლა. ოლორის მიმართულებით რას რაიონში ჩვენმა არტილერიამ გაფანტა ოსმალოთა ქვეითი ჯარი. დიარის რაიონში ჩვენმა მხვერავებს რაზმმა ოსმალოთა სადარაჯო რაზმს შეუტია, ბევრი მათგანი დახოცა და დანარჩენი ტყვედ წამოიყვანა. ენჯოლუს რაიონში ოსმალოთა ცხენოსნებმა მოინდომეს ეფრატის მარცხენა ნაპირზე გადმოსვლა, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. ოსმალოებმა გასწინდეს კორმუნჯის პოზიციები და აჩქარებით უკან იხვევენ. ჩვენი ჯარი კვლავკალ მისილდეს მათ. ვანი რაიონში ყაზახთა რაზმმა ქურთები განდევნა სოფელ დიზოდან. დანარჩენი ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ალმოსავლეთის ასპარაზი.

პეტროგრადი. 8 ივლ. ოფიციალ. მკავარსარდლის შტაბისაგან. 7 ივლისს რიგა-შავლის რაიონში ბრძოლა იყო მიტავის დასავლეთით და სოფელ იანიშკისკენ მოშავალ გზებზე. ნარევის ნაპირებზე მტერმა ზარბაზნი დაუშინა ოსტროლენკას და

ცილობდა წინ წამოწევას როქანის ხიდის სიმაგრისკენ — როქანისა და პულტუსკის შუა. ვისლის მარცხენა ნაპირზე მოპირდაპირე უნაყოფოდ სცადა იერიშების მოტანა ზგოლინ-გნგვაშოვის მიმართულებით. ლიუბლინის მიმართულებით მტერი ხოდელ-პიასკის ფრონტზე შეჩერებულ იქნა. ვებრეის ორივე ნაპირზე სოფელ სუხოლოთან და დაბა რეივეტისკენ 7 ივლისს მოხდა მეტად მწვავე ბრძოლა, რომელშიც დღამეამდე გასტანა. ზოგადვილას გერმანელებს ფეხი მოვაცვლევინეთ და ფიდი ზარალი მივაყენეთ. ვოისლავეციდან გრუბეშოვამდე ამავე დღეს გაგრძელდა ბრძოლა და სარტილერიო სროლა. ბუგის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულ მოპირდაპირეს ლიტოვიც-სოკალ-პოტურტიცეს ფრონტზე ოდნავ უკან დაეხვეინეთ და 1000 ტყვე წამოიყვანეთ. სხვაგან შესამჩნევი არაფერი მომხდარა.

პეტროგრადი. 8 ივლისი. ოფიციალ. მთავარსარდლის ბრძანება, ორი ივლისის თარიღით № 52, მთავარსარდალმა ბრძანა: დაბა ბარანოვიჩსა და მის არე-მარე 10 ვერსის მანძილზედაც გავრცელდეს მთავარსარდლის იმ ბრძანების პირველი პუნქტის ძალა, რომელიც გამოიცა მიმდინარე წლის 20 მაისის თარიღით № 37 და აკრძალულია მიმოსვლა, თუ საამისოდ სათანადო მოწმობებს არ წარმოადგენენ. ბრძანებას ხელს აწერს მთავარსარდლის შტაბის უფროსი ინჟანტერიის გენერალი იანუშევიჩი.

სევსტოპოლი. 7 ივლისი. რუსების ნაღმონებმა აღმოაჩინეს ტრაპიზონისაკენ მიმავალი ოსმალოთა ფლოტილია, შემდგარი 50 ხომალდისაგან. ხომალდები დატვირთული იყო ქორხის ჯარისათვის დამზადებული სანოვავით, სამხედრო მასალით და სხვა. ნაღმონებმა მათზე იერიში მიიტანეს და გაანადგურეს. მეზღვაურები გადარჩნენ.

დასავლეთის ასპარაზი.

პარიზი. 6 ივლისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუშის სუშეს გარშემო გამწვავებული სროლა იყო, მაგრამ ქვეითა ჯარი არ მოქმედობდა, გერმანელებმა აჩრახს 60 ყუბარა ესროლეს, აგრეთვე ბრძოლა სწარმოებს სახელდახელო ყუბმარებითა და პეტარდებით. მდ. მასის მარჯვენა ნაპირას გერმანელებმა დღისით ორი ძლიერი იერიში მიიტანეს ფრანგების სანგრების წინაღმდეგ. სონვოა ხევის სახრეთის ფერლობებზე ეს იერიშები მოგერებულ იქნა. შემდეგ გერმანელებმა ზარბაზნები დაუშინეს ფრანგების სანგრებს და მცირე რიკბოვან რაზმით უმნიშვნელო იერიშები მიიტანეს; ყველა იერიში მოგერებულ იქნა და გერმანელებს დიდი ზარალიც მოუვიდათ. დანარჩენ პირზე დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. ერთ-ერთმა პავროპოლანმა გერმანელთა პავროპოლანი სდევნა და ჩამოაკლავილდევ ტყვიის მფრქვევლის სროლით, გერმანელების მანქანას ცუხლი წაეკიდა და გერმანელების ჯარისაკენ ჩავარდა სუხოსთან.

პარიზი. 6 ივლისი. დღის ოფიციალური ცნობა. ბელგიაში გერმანელებმა დამის განმავლობაში ძლი-



თავ სხელებში... ხათათბიროს ყველა ამხანაგებს, განუჩეგვლიათ პარტიისა.

„პარტიის პარტიის“ (შედეგი, იხ. „სამსურელი“ № 124).

მისი გავლენით, 1910 წ. შეერთდნენ რუსეთში და დასავლეთ გერმანიის რაზონები და ქ. კატოვიცში მოახდინეს კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 600-მდე გამოჩენილი რაზონი, მათ შეადგინეს, ახალი ჯგუფი „ფოლკის პარტიის“-ი, რომელსაც მიემხრნენ უკიდურესი ორთოდოქსები. მიზანი კი იგივე იყო, რაც სიონისტების, ერთი ახალი ჩემი ამხანაგი, ძალიან ენერგიული სიონისტი ქ. ციურინგისა და მისი მხარე და მისივე მიმდევრების ახალი ჯგუფის, თანაც მწერდა: „თუ გინდა რომ დარწმუნდეს ახალი ჯგუფის უბრალებლობაში, ჩამოდი და დაესწარი ახალგაზრდებისა და სტუდენტების კონფერენციას, რომელიც მოხდება ქ. ფრანკფურტში 1913 წელს“.

რადგანაც განზრახვა მქონდა პარიზში წასვლისა, რომ რომელიმე კომიტეტისაგან გამომეთხოვა თანხა ღარიბთათვის უფასო უფულო სასწავლებლის „თემის“-ს დასაარსებლათ, ავირჩიე ეს დრო და გავემგზავრე ფრანკფურტის პარიზში; კონფერენციას დაესწრო 400 დღე-ღამე სულ ახალგაზრდა და სტუდენტები. ამათ გარდა იქ ვერძირდნენ ხანებს იმ დიდებულთა კაცებისა, რომელთა სახელიც გქონდა გავიწყობილი. აქ იყვნენ: პროფ. ბერლინერი, პროფ. ფინი, რექტორი ლანდაუ, დირექტორი ლონინგაუმი, გოლდშმიტი როტშილი და სხვები ყველაზე მეტად იპყრობდა ჩვენს სულსა და გულს, და მთელ გრძობას, საფრანგების გენერალ ლეიტენანტი ლეონინი, რომელიც თავმჯდომარეობდა ამ კონფერენციას, და ცეცხლივით ვნებობდა, როდესაც იგი ებრაელების რჯულზე ლაპარაკობდა, და ამხანაგებად ახალგაზრდას მის კარგათ შენახვისთვის. ოცნებაში გათვალისწინებულა და ჩაფიქრებულა შეგვიტოვებ თავი: „ნუ თუ საფრანგეთში, სადაც ყველა სარწმუნოება კვდება, ცხოვრობს ასეთი კაცი, ისიც გენერალი“ ამ დროს შემომავლა ხმა თავჯდომარისა, რომელიც მიწვევდა ჩემი სალაში გადამეცა ამ სანატრულად.

ლი ძმებისათვის. როცა თავმჯდომარემ კონფერენციის წინ წამოაყენა, გენერალმა დაიწყო ბიბლიურ ენაზე: „ძმებო! თქვენს წინ სდგას თქვენი ძმა ზორბულო ქვეყნიდან მოსული. ეს ქვეყანა ძალიან შორს არის ჩვენგან, მაგრამ იგი უნდა ახლო იყოს ყველა ებრაელის გულში (კონფერენცია დიდ-ს აღტაცებით ფეხზედ წაშლდა, საშინელი სიწმინე ჩამოვარდა). ვერომა, რასაც დღეს ცდილობს, აღმართის სიყვარულის განხორციელებას, იგი ქართველს 2000 წლის წინათ ქონდა შეთვისებული მოწამეა მცხეთის ქალაქი და მისი პრეზიდენტი (მამახალიანი), რომელიც დაუხვდა იერუსალიმიდან გამორევილ ებრაელებს პურმარდით, ამ ისტუმრამ მშურათ ღმერთი და მღვდელი პოლიტიკური ცვლილება მოხდა ეკეკლესიაში, მაგრამ თვისი იდეალი ადამიანის სიყვარულის და ძმური განწყობილების შესრულებით“.

ქართველ ვრს შეუძლია ამჟამად წარმოასტევა: „ჩვენც გვყავდა მეფეები, სამღვდლოება, მწერლობა, მაგრამ სხვა ერების დევნა ფქრთაც არ მოგვხლია, ვერომაის წინანდელი ბნელი ძალებით დაქვევულ სისხლში ჩვენი ხელი არ გასვრილა. აი ეს არის ქართველი ვრი, საიდანაც ჩვენი სტუმარი“.

საშინელი ტაშის ცემა გამართა და ხმადაღლა გაიძახლა: გაუმარჯოს ქართველ ხალხს, სიცოცხლე და ბედნიერება ქართველ ხალხსა“ ბევრის თვალზე ცრემლი გამოჩნდა, საზოგადოება დიდხანს ვერ დამშვიდდა. გენერალმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „შვილებო! თქვენ ანდერძით გქონდესთ, ვისაც რათი შეგეძლოთ, იმით გაუწიეთ“ სიყვარული ქართველ ვრსაო. როდესაც კრებას მივსალმე და გავაძინე რომ დღესაც ძმურათ ვცხოვრობთ ებრაელები საქართველოში-მეთქი ერთმანეთის პირსა და ლხინს ვიზარებთ და მათთან ძმობა-სიყვარულობა სულ მუდამ გვექნებათქო, კვლავ საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ამ სიტყვებს და უსურვა ქართველ ვრს კეთილი წარმატება.

დ. ბაზუგა. (დასასრული ხედა).

პოლიტიკაში გაება.

ამ რამდენიმე დღის წინათ „სამსურელი“ რედაქტორი ბ. ი. ცინცაძე ოფიციალურად დაითხოვეს ქართული გინაზის მასწავლებლის თანამდებობიდან. დღემდის ეს მოვლენა რაც სურუსში იყო გახვეული და გადაქრული მსჯავრის გამოტანა უზრუნველად მიგვანდა. დღემდის რედაქტორი ბ. ი. ცინცაძის სდებდა რაღაც ანგარიშების გამო მისი რედაქტორის სამსახურიდან დათხოვისთვის. დღემდის ოცხელს კიდევ მორიდებით ეკადემოდენ ისინი, ვინც დაწვრილებით არ იცნობდენ მის მოქმედებას. დღემდის არც ერთს სახალხო მასწავლებელს საშუალება არ გქონდა ჩვენი ზერი გამოგვეთქვა მომხდარი კაც-ქამიობის შესახებ; მაგრამ ესა, როცა თვით ოცხელმა საკითხის გაშუქებას ხელი შეუწყო, სინამდვილეც ნელ-ნელა ირყევა. ესა როცა თვით დირექტორმა თავისი შეხედულება გვამცნო, სიწმინის დრო აღარ არის. ესა, როცა ქართული გინაზის „მეგვერთა“ საქციელს მისმა ლეიბ-პედაგოგმა ნათელი მოჰქინა, შემთხვევა გვეძლევა—გავითვალისწინოთ ყოველივე და შესაფერი ანგარიში გაუწიოთ გინაზის კედლებში მომხდარ უკანონობას.

აი საქმე რაშია—გუშინდელ „სამსურელი“ ნომერში ბ. ი. ცინცაძის თავეს იმართლებს და სცილიობს გვერდი აუაროს იმ ცოცხალს სინამდვილეს, რომელიც, სამწუხროდ, ამ რამდენიმე დღის წინად მოხდა ქართული გინაზისაში. თავისი განმარტებაში ბ. ი. ცინცაძე ამჟამად ვაიძახის, რომ სხვა საქმეც მქონდა ცინცაძეს, ის რედაქტორი იყო და ეს ხელს უშლიდა წესიერ მაცადინობისათვის. ასეთი ბრალდება ახალი არ არის; განა ამას არ ვაჭივიან ყველა ოფიციალური პირები? განა კულტურულს საქმეებში ჩარებისთვის არ სტუქსავენ საბრალო მასწავლებლებს უფროსები? თუ ოცხელურად ვიმსჯელებთ, ხომ უპატრონოდ დარჩა ჩვენი ქვეყნის მომავლის იმედი—გლტეობა და მდაბიო ხალხი—რომელიც დღეს დაუყონებელ დანხარე

ბას მოითხოვს მასწავლებლებისაგან? დიხ, უმფროსი გინაზისა, ქართველი მოღვაწე და ერის გულშემატკივარი მისდამი რწმუნებულ სასწავლებლის დაქვეითებას ია ეკლადის რედაქტორობას აწერს, რაც მას არ ებატება, როგორც განათლებულს კაცს. მაგრამ განათლება ხშირად პირად ანგარიშებამდე ხურდავდება და უფრო ხშირად განათლებული პირივინა ვეღარ ახერხებს თავის გულის-თქმის ჩაკვლას და საზოგადოდ გაიძახის თავისი შეხედულებას, თუ გინდ იგი შეხედულება ძალიან სახარალოც იყვეს საზოგადოებისთვის.

ერთი მიზრძანეთ, რა გარანტიას იძლევა გინაზის ობერ-მესვეური იმის შესახებ, რომ სხვა უმფროსებიც მას არ წაბაძვენ დი რეტორა, ან საზოგადო კეთილდღეობისთვის მოღვაწე მასწავლებლებს სკოლის გარეშე არ ამოაყოფიებენ თავს. იცით, რა ჩაიდინეთ ბ. ი. ცინცაძე? ალბ-დ გეცოდინებათ, რომ თქვენ სახალხო მასწავლებლების ტანჯვას ერთი საშინელი მათი უფლების შემჯავებელი საშუალება მიუმატეთ, შეიძლება, თქვენმა წე-რილმა ახლად ფეხადგმულს მასწავლებლობას ის სამსახური გაუწიოს, რომ მისი პირ-ვარამას გამოქვეყნებელი პირები სამსახურიდან დაითხოვონ და საუკუნოებით მიიმე-უდელს ქვეშეყოფი არსებანი, რომლებიც ნათელის თვალით მისდევდენ ცხრვებას და ღლო აღებით შესტრფოდენ ბრწყინვალე მომავალს მათის უმფროსი-მსერ თქვენი მოქმედების მსგავსმა გამოსვლამ სკოლებიდან გააძეოს. ეს ასეც მოხდება, რადგანაც, როცა ხალხისაგან არჩეული დირექტორი უსამართლობას იცავს, მას სხვები მაგალითად დაისახვენ და ამ რიგად თქვენ შეიქნებიან მასწავლებელთა დღენის ახალი საშუალების მამათ-მთავარი. როგორც ვხედავთ, ბ. ი. ცინცაძე

თავი გაიზარტოა... გაიძუტუნა, რადგანაც სამსურელის სამსახურიდან დათხოვილნიან ნად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ფორმა; რომელშიაც იგი მომხდარა და რომელიც თვით მან დაადასტურა.

უკეთესი იყო სხვა გასამართლებელი საბუთები მოეყვანა ბ. დირექტორს, თორემ იმით, რაც მან სთქვა ლელოს ვერ გაიტანს; რაც დასწერა, ხალხის ნამდვილი შვილები მას გასაფრთხილებელ საშუალებად გამოიყენებენ და ისე აღვივლად არ ჩაკვივდებიან მათი სიწმინდის შემბლაკელის ბაღში, როგორც აქამდის ვერებოდნენ; ისტორიაც შესაფერს მსჯავრს დასდებს ასეთს მოქმედებას და მაშინ გვიან-ლა იქნება თითზე კვანანი.

ნარქანი.

ქილავ უნდა გავიგოოო!

(ჩვენი ერის შეგნებული ნაწილის საყურადღებოთ)

კითხვა ქართული ენის არანორმალურ მდგომარეობის შესახებ საშუალო სასწავლებელში, კითხვა, რომელიც დაისვა წარსულ წელში პატრივტიკულ გაზეთ „თემის“ ფურცლებზე (№№ 162, 164, 165, 166, 167, 178, 179), იმდენად საყურადღებო და მომწიფებულ კითხვად მიგვანდა და მიგვანია დღესაც, რომ სრული იმედი გქონდა ამ კითხვის გამოკვევა გადაქრას დაუყონებლო შეხედვებოდენ ჩვენი ხალხის შეგნებულ ელემენტებს; გვეგონა, რომ ჯერ პრესის საშუალებით გააშუქებდენ ისინი ამ სერიოზულ საკითხს, შემდეგ კი, შელახულ მშობლიურ ენის სასურველ კალაპოტში ჩაყენების სურვილით გამსპვალულები, სიტყვიდან საქმეზე გადავიდოდენ.

დიხ, გვეგონა!.. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ ამ სერიოზულ კითხვის გარკვევა გადაქრაშია ქართველურმა სენმა, დაუდევრობამ, იჩინა თავი: აქაც, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივ ავბილილით, გავწითლით, დავიხნაურეთ და მიგვწყნარდით... კითხვა ქართული ენის სასურველ კალაპოტში ჩაყენების შესახებ საშუალო სასწავლებელში, ეს ჩვენთვის ფრად საქარო კითხვა, ლოდ ქვეშ ამოვდევით, მივაფუჩქნით...

სდუმდა და სდუმს შეგნებულ ნაწილი საზოგადოებისა, სდუმდა და სდუმს... პარსიდან ხმა, არსიდ ძახილი.

ბატონებო, სირცხვილია, მეტი რომ არა ვსთქვათ, ნეტავი რად გავიწყდება, რომ არის კითხვა, რომელიც მოითხოვს დაუყონებლივ პასუხს, გადაქრას, არის კითხვა, რომლის გადადება სხვა დროისათვის, რომლის მიფუჩქნება მიუტრეგებელ დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს იმ საზოგადოებას, რომლის დროსაც ეს კითხვა იბადება და მწიფდება.

კითხვა ქართული ენის არა სასურველ მდგომარეობის შესახებ ჩვენ საშუალო სასწავლებლებში იმდენად ნათელია, იმდენად მომწიფებულია, იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენითვის, რომ მისი გადადება სხვა დროისათვის, მთა უფრო მისი მიფუჩქნება, დიდი დანაშაულობა იქნება ჩვენი მხრივ მომავალი თაობის წინაშე.

თუ ეს ასეა, ნებას მივცემ ჩემს თავს ეს კითხვა, ქართული ენის შესახებ, კიდევ, მესამედ („კიდევ ვიყოებ“ „თემი“ №167) მოვავონათ საზოგადოებას და მოკლედ გავიგოოოთ ის, რაც ვაქვით წარ-

ბრუნების წარაგები: 1 „ივრია“ №№ 32, 33, 34, და 39 1890 წლისა, (წერილები ილია ქავკავაძისა, მოსე ჯანაშვილისა, პეტრე უმიკაშვილისა, სტყვა და წერილი ყოველად სამღვდლო ლეონიდისა, სიტყვა გიორგი წერეთლისა, მღვდ. სოლ. შოშიაშვილისა, ლექსი აკაკისა, წერილი იაკობ გოგებაშვილისა; 2) „წყემის“ №№ 3—4 1890 წლისა. წერილი დეკ. დამაშაძისა; 3) „სახალხო ფურცელი“ № 274; 4) Археологич. пут. по Гурии и Адчарѣ Д. Бакрадзе. მისი წინასიტყვაობა 1—XIX გვერდები; 5) „Новое Обозрѣние“-ში 1890 წ. თებერვლის თვეში დაწერილი წერილები დიმ. ბაქრაძის შესახებ; 6) ზ. კუპინაძის წიგნი: „დამიტური ბაქრაძე“ და სხვა.

იან ჰუსი.

(დასასრული იხ. „სამს.“ № 125.)

ქვრივის სახლში ჰუსი იყო 28 ნოემბრამდ. ამ დღეს კი ჰუსი გაიწვიეს პაპის სანახავად და შოულოდნელათ დაატუსაღეს. შემდეგ კი დაამწყვდირეს ბნელს საკანში და გარშემო დარაჯები მიუჩინეს. ამ საპრობილემში ჰუსი იყო 8 დღეს. მეცხრე დღეს ღამით გადაიყვანეს ლამინიკას მონასტერში და იქ ხავედღეს ბნელს დაობებულს სარდაფში. დამალარ თფა იყო მისი ქვეშაფები იქვე ქვაზე იდგა ამომარებული წყლით სავსე კითხა და მის მახლობლათ გამხმარი პურის ქერქი. ისეთი საშინელი შთაბეჭდილება იქონია ამ აუროლებულმა, გულის შეშარავამ

სარდაფმა იან ჰუსზე, რომის დაცვა იქვე თივაზე და ბეგშივით დაიწყო ტრიალი. მთელი ღამე ტრიალიში გაატარა. მის თვალს ძილი არ მიკარებია. და ან რა დააძინებდა, როდესაც მის ზურგზე დოლოდავდნ პატარ პატარა ცხოველები. გათენებისას პირველმა მშის სხვიმა მალლიდან ჩაიხედა მის სარდაფში. ესა კი უფრო საშინლად ეჩვენა საბრალო იან ჰუსს წუხანდელი სადგომი. კვლავ ბლომათ დოლოდავდნ ლოკოკინები, დასრიალობდენ ორმოცეფები და სხვადასხვა ნაირი მატლები, კუთხეში მოხვიული იყო შავი ზღარბი და ტკბილათ ეძინა.

საპრობილემში მეტად დასუსტდა იან ჰუსი. აუტუდა სისხლის ფურთხება, ხშირად ბნედა ეპარაუბოდა, თავის ტკივილი მახვენებას არ აღეგდა და კბილები სულ მთლად ემძრეოდა სინოტივებსან.

ღამ-ღამობით სიტყე აწუხებდა და რაღაცას ბოდავდა. ძალზე დასუსტებული ჰუსი სიკვდილის პირათ იყო. ასეთმა მისმა მღვთმარეობამ სიბრალოლი გამოიწვია დარაჯების შორის; მათი შუამდგომლობით ჰუსი გადაიყვანეს უკეთეს ბინაზე. აქ კი მას კარგს საქციელს აძლევდენ და კარგადაც უვლიდენ მაგრამ დიდხანს არ გასტანა მისმა ასეთმა მღვთმარეობამ. ოცდა შვიდს მარტს ის გადაყვანეს ბენის ციხეში, სადაც მას ბორკილი დაადვეს და მეტათ უღიერათ ეპყრობოდნენ. მისთვის აცა კი უნდობათ ეკითხნენ რამე მსოფლიო კრებაზე და ისე უპირებდენ სიკვდილით დასჯას. მაგრამ მათ შეეშინდათ ხალხის აღლევების და იძულებულთ იყვენ მიეწვიათ კრებაზე.

ძალზე დასუსტებული, გაძვალტყავებული ჰუსი ძლივს დგებოდა ფეხზე, მაგრამ რა გზა ქონდა, თავი უნდა ემართლებია და კიდევაც ის წარსდგა მსოფლიო კრების წინაშე მშვიდის სახით, გულზე ხელდაკრეფილი.

„ცნობ თუ არა შენს თავს დანაშაულათ?“ ეკითხებოდენ ჰუსს. „თუ დამიტკიცებთ, რომ მე ტყუილს ვამბობდი, მაშინ ჩემს სიტყვებს უპანე წაიღებ“, წყნარად უნასუბა ჰუსსმა. ამ დროს გაისმა კითხვა და ჰუსს ლაპარაკი გააწყვეტინეს. მისი ნაწერებიდან ამხინჯებდენ ფრანგებს და ისეთ ბრალს სდებდენ, რაშიდაც მას არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა.

სამჯერ მოიწვიეს იან ჰუსი მსოფლიო კრებაზე, მაგრამ არც ერთ მას ლაპარაკი არ აცალეს, არ მოუსმინეს სიმართლის თქმა; როდესაც ის თავის მოძღვრების მტკიცებას შეუდგებოდა სამღვთო წერილიდან, მაშინვე ატყდებოდა აურზაური და სიტყვას გააწყვეტინებდენ. საბრალო ჰუსიც გაჩუმიდებოდა. ამით სარგებლობდენ მისი მტრები და ხმა ზაღლა გაიძახოდენ:

„ხედავთ, როგორ გაჩუმიდა... მან თავის თავი დანაშაულთ სცნო და მიხვდა თავის ცრუ მოძღვრებას“.

იმპერატორი სიკვდილით შემუქრებოდა ჰუსს, თუ უარს არ იტყოდა თავის სწავლა-მოძღვრებაზე.

„ღმერთია მოწამე, ძლიერო მეფე, უპასუხა ჰუსმა, რომ მე არ მაქვს მიზნათ „ერესი“ და ვიცო. ჩემის ნებით მიტომ მოვედი კონსტანტინის მსოფლიო კრებაზე, რომ გამოვიცვალო ჩემი რწმენა, თუ თქვენ დამიტკიცებთ მის უფარგისობას“.

ასეთს მის ლაპარაკს ყური არავინ ათხოვა. მის მტრებს აღრფვე ქონდა გადაწყვეტილი მისი სიკვდილით დასჯა და კიდევაც 6 ივლისს 1415 წელს მას წაუკითხეს სიკვდილით დასჯის განაჩენი. მაშინ მას ჩააცვეს მღვდლის ტანისამოსი და მთაბოვეს ავის მოძღვრების უარის თქმა. მაგრამ ჰუსი მტკიცეთ იყო თავის რწმენაზე. იმ წამზე გააძვრეს მღვდლის ტანისაცმელი და მის ნაცვლად ჩააცვეს გრძელი თეთრი ხალაოი, გაკაჩქეს თმა, თავზე დაახურეს მაღალი წვირილი თავა ქუდი, რომელზედაც სამა ეშმაკი იყო დახატული და წაიყვანეს დასაწვავათ.

ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა ჰუსი აზვირთებულს შეშის ხორას, აქ ის პირქვე დაეცა მიწაზე და მხურვალე ლოცვა იწყო, მაგრამ ბევრი აღარ აცალეს ჯალათებმა, სტაცეს ხელი, სოველი თოკით მიაკრეს მაღალს ბოძზე და გარშემო შეშა და თივა შემოაწყვეს... შეუერთეს ცეცხლი... როდესაც წამებულმა დაინახა ცეცხლის ალი, ნახმა ლომილმა გაუარა მის სახეს. შემდეგ შეხედა ზეცას და მშვიდის ხმით წამოსთქვა: „ქრისტე ღმერთო, ძეო მღვთისაო, შემიძღვე მე ცოდვალსა ამას“. ცეცხლი კი თანდათან უახლოვებოდა და სუნთქვას უშლიდა. ჰუსი ისევ ლოცვილობდა. უტბათ დაბერა ქარმა. ცეცხლი გაძლიერდა და ზეცისკენ აპყრობილი სახე იან ჰუსისა ცეცხლის ალში გაიხვია. ძლიერმა ცეცხლმა ნახშირათ აქცა ჰუსის ეკლით ნახვლეტი არხება. სასჯელის გათაფების შემდეგ ჯალათმა მოაგროვა ნაცრათ ქვეული ჰუსის სხეული და მდინარე რენის ზვირთებს მიამარა.

გიორგი ნიორაძე.

სულ წელიწადში ამ სამწუხარო მოვლენის შესახებ.

ქართველთა ტერიტორიაზე, ქართველების ქალაქებში საშუალო სასწავლებლებია; ამ სასწავლებლებში 80% ქართველებია, თუ მეტა არა. აქ ასწავლიან რუსულს, ფრანგულს, ლათინურს და გერმანულს ენებს. ეს ენები ქართველი მოსწავლეთა სასწავლებლოა. ყველა ამ ენებს სწავლობდა ეკიდება ქართველი მოსწავლე; ყოველთა და აგრეთვე მასწავლებლის, რაც უსაქაროესია მათ შესასწავლად; დანტერესებული ზის ვაკეთობენ, ყურს უგდებენ მასწავლებელს, ხაზი აქვს ამ უკანასკნელის, ემზადება გამოცდებისათვის, უხარია როცა კარგ ნიშნებს ღებულობს ამ ენებში, სწუხს სული ნიშნებისათვის.

ჩვენა გასაკვირად და სამწუხაროდ, ამ ენების რიცხვიდან გამოთვლილია მოსწავლეთა საშუალო ენა-ქართული. ამ უკანასკნელს ან სრულიად არა აქვს ადგილი საშუალო სასწავლებლებში და თუ აქვს და ასწავლიან ისე სუსტად, ისე უგულოდ ისე აპურად ავლებულია ეს ენა, რომ ამ ენის ამ გვარ უნუგეშო მდგომარეობას ვერ შეგუობდები ვერც ერთი შეგნებული ქართველი, თუ ბრმა პარტიული ენიანობით არ არის მიზიარება გაუღწეოილი. მე კიდევ ხე მალა ვიმერებ, რომ სამწუხარო სასწავლებლის ქართველ მოსწავლეთა დღეს უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა. ქართული ენა ქართველ მოსწავლეთა ახლაც მაშინ, როცა გაკეთებულ შემოდის ქართული ენის მასწავლებელი, ყურს არ უგდებენ გაკეთების ახსნას, არ აქვს ხაზი ამ ენის და მისი მასწავლებლის, არ აწუხებს და არ ახარებს ქართულ ენაში მიღებული სული ან კარგი ნიშანი.

ერთი იტყვიან, საშობლო ენა საშუალო სასწავლებლის ქართველ მოსწავლეთა მიანია ზედმეტ ბარგად. ეს კი სამწუხარო მოვლენაა. ჩემის ფიქრით ამ სამწუხარო მოვლენის უმთავრეს მსხვერპლს მე მიიანდა ვარემობა, რომ ეს ენა საშობლო სასწავლებლის პროგრამაში შეტანილია, როგორც არა სავალდებულო გიორგი.

(შემდეგი ექნება).

ახალი ამბავი.

უხანისი.

ხვალინდელი ჩვენი გზისთვის დამატებაში მოთავსებული იქნება მოთხრობა, გორგისა—გაგრძელება და ლექსი— მიწისვილისა. სურათები: ჭრთველი მწერალი ქალის ბარბაღე ყიფიანის, ჯარის კაცები: რომან ტარაგინის ძის მღობისა, ახალგაზრდა მხატვრის, გიორგი დიმიტრის ძის ისაკიძისა, საარტისტური პოლიკის ექიმის ერმალოზ ქრისტე ფორეს ძის აბულაძისა, ალექსი ივანეს ძის შარკაძის, ივანე ფრანკის ძის ხოჯაყანოვისა, ალექსანდრე იოსების ძის ანდრიაძისა და ჯარის კაცის გველესიანისა.

ქუთაისის კლასიკური გინა ზიის მოსწავლეთა მშობლებმა ქალაქის ხელი მოაწერეს და სათანადო მთავრობის წინაშე შეამდგომლობა აღძრეს, რომ ხსენებული გინაში არის დირექტორი ბენი კოტილევსკი ისევე დასტურონ.

წარმოდგენა კვირას, 12 ივლისს, ქალაქის თეატრში ქართველი მსახიობების მიერ წარმოდგენილი იქნება ვალდენბერგის 4 მოქმედებანი დრამა „ქორიანი ტორლოა“. ფასები დაკლებულია.

სამკითხველო. საფინანსო დ. კლდიაშვილის სახელობის სამკითხველო მხარუნველ კომიტეტმა დაადგინა: გაართონ საფინანსო წარმოდგენა ხსენებული სამკითხველოს სასარგებლოდ.

დაჭრა. 8 ივლისს დაღით ადრე, ფეხმის ქუჩაზე, პანაშენიკებმა

ჩიხამ და მესხმა ჩხუბი აუტყეს ზოადიგელს გვამიერას, ზოადიგელმა თავი იმარდა, მაგრამ მათ ჯერ ხელდასწრები და შემდეგ ჭრთველმა მისცეს.

სალარის აგარაკი. სალარის აგარაკის მცხოვრებლები უგზობობით მეტად შეწუხებულნი არიან. ამ აგარაკის მამულები ქალაქს ეკუთნის და საქირა ამ უბანს მეტი ყურადღება მიაქციოს.

ჭაბუკი. ამ ენაში შევიქვა გააქვით რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში.

წყლის მსხვერპლი. 9 ივლისს, დღით, მდინარე წყალწითელაში ბანაობის დროს დამარცხალა ვილაქ ჯარის კაცი.

სანაფავე. გუშინ ქუთაისის ბაზარზე სოფლებიდან სანაფავე ძლიერ ცოტა შემოვიდა. ბაზარზე სურსათი მეტად ძვირობს.

საოჯახო საღამო. დღეს, 11 ივლისს საოჯახო საკრებულოს საზაფხულო საღამოში გაიმართება საოჯახო საღამო ლოტო და ცეკვა. შემოსავლის 10% გადადებული იქნება ჯარში გაწვეული სასარგებლოდ.

დაიბეჭდა და გასაყიდა დაურიგდა წიგნის მალაზივს ა. გარსეჯანიშვილის წიგნაკი მიაი, მათე ყაჩალათ წოდებული.

როგორც ფოთიდან გვწერენ იქ შემდგარა განსაკუთრებული კამისია წყალდიდობით მიყენებული ზარალის გამოსარკვევად. ამ დღებში ფოთას ქალაქის თეთრმარცხენა მხარეს ზოგადად მოხდებდა ამ კომისიის, ქალაქის გამგებობის და საბჭოს კრება, რომელზედაც დაესწრება სხვა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები და სხვათა შორის, სანიტარული ექიმი ბენი სერაფენკო. იმსჯელებენ აგრეთვე იმაზე, თუ რა ზომები მიიღონ სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

წერილი ლეჩხუმიდან.

კაცობრიობის ქონებრივად განმარტვრელებმა და ზნეობრივად გამათავისებლებმა მოვლენამ, რომელიც სიკვამლე უწოდებენ და რომელიც აგრეთვე წელიწადში შეუჩერებელი მოქმედობს და აუარებელ მსხვერპლს იწირავს, საერთო გლოვა წარმოშვა. გაიარეთ რომელ სოფელშიაც გნებავთ და დაინახავთ ქობის წინ კონკრეტული გახვეული, ნახევრად შემწვლი ბავშვა შორის ზის დედა და მოსთქვამს ბრძოლის ველზე განგმირულს დაიჭრს თუ პავლიას.

ასეთი მავალითი ხშირია. ამის მოწამე ხარ შემთხვევით. გავლელი. მაგრამ ამის მიზეზი გახლავითა სურათო მოვლენა და ცხადია ამ ქარცეცხლს ვერც ლეჩხუმი გაექცეოდა. ახლა გადავიდეთ შიმშილობაზე, როგორც ვიცით, დამწუხრია გურია, სამეგრელო, იმერეთი.

თითქმის ჩვენში ისეც საერთო მოვლენაა, მაგრამ შიმშილობაც არის და შიმშილობაც. დაახ, ყოველ მხრიდან მოდის ცნობები დამწუხრულთა შესახებ, არა რმის რა ლეჩხუმიდან, თითქო აქ ყოველადფერი წესიერად მიმდინარეობდეს. ბევრი ჩვენი სამშობლოს კუთხეებში დამწუხრული და თუ იქაურ გლეხების გოდებას ანგარიშს უწევენ, ეხმარებიან შეძლების და გვართავთ ოდნავ მაინც უმსუბუქებენ მდგომარეობას, უწერენ სიმინდს სესხის სახით ან და დაკლებულ ფასებზე, — ლეჩხუმის სოფლები კი ამ მხრივ სრულიად უპატრონოთაა დარჩენილი. მათი კენესაგოდება ამა თუ იმ გაქარების ზეგავლენით აღმოხუტული, შორს ვეღარ მიდის და აქვე უტყვევ კლდეთა და ღრეთა შორის იმთქმება.

დვიჯეროთ რომ იმერეთი დამწუხრული და ლეჩხუმი ამ მხრივ სრულიად უზრუნველ ყოფილია? საქართველოს სრულიად არა დანტერესებულმა პირმა ამ საკითხით გაიაროს გზათ სოფლებში და გულის შეზარავს სურათს წააწყდებით. ჩამოაგდეთ გლეხთა შიმშილობაზე ლაპარაკი და ის ჩამოგეთვლის არა ერთსა და ორს დამწუხრულ მეზობლებს, შეიძლება მასაც იგივე დღე ადგია, მაგრამ ერთ

ცხენება გლესს, მიწის მუშას—ქალი არა მაქცოლ ამის თქმა. ამ დღეებში ერთს ადგილობრივ შეძლებულ თავადის ოჯახში შოვიდა მეზობელი გლეხის ცოლი და ქალი ითხოვა. თურმე რამოდენიმე დღე ბავშვებს არა ექმათ რა. დაეხმარენ, მაგრამ მითხარით, სანამ უნდა იაროს ასე შიმშილისგან განამწარებმა აღამიანმა? მესამე თუ მეოთხე დღეს იმავე ოჯახიდან გამოიქცა 5-6 წლის ბავში და თავი შეათარა ამავე თავადის ოჯახს. უბედური, შიმშილს გამოექცა. დაინახა თუ არა თავადის გზოში შემოსული თავისი მამა, მორთო ტირილი. საბარლო ბავშს ეგონა მამა სახლში წაიყვანდა, სადაც შიმშილი და გაქარების მეტი არა მოელოდა რა. მოსთქვამდა, იწყებოდა დაბადების დღეს, წყევლა-კრულედა უთვლიდა მშობლებს.

ნათქვამია—სიმეგრძელე სიქაჩლეს მოელოდეთ—ისე სკირთ გლეხებსაც. გლესს, მიწის მუშას, თითხმის ყველაფერს, მოკლებულს—მაქალიც შემოაკდა! წინედ დამწუხრული ოჯახი იმ იმედით, რომ მოსავალი მოსავლიდან გაისტუმრებდა—სესხულობდა სიმინდს შეძლებულ მეზობლიდან. მაგრამ დღეს, ეს საშუალებაც მოეკლათ. მომავლის იმედიც ვაუცრუდნათ და აი რატომ: მთელი ივნისი ისე დაიღია,—სამიოთხი

დღე დარი არ ყოფილა. გამუდმებული წვიმებმა ქინახელი სულ ააოხრა. მაგრამ რომ განება აქ შეჩერებულიყო და ამით დაკმაყოფილებულიყო, ლეჩხუმლები თავს ბედნიერათ ჩათვლიდნენ. 25—26 ივნისს არა ჩეველებრივად ამინდი დადგა, აცივდა. საზამთრო ტანთსაცმელი მოისხეს. ბუხრებში ციცილი შეანთეს. ერთი დღე და ღამის განმავლობაში კოკისპირულათ ახსამდა. მეტის-მეტი სანესტისაგან მთები ჩამოშავდა. მე ყურამ წალეკა ნათესი ადგილები—სიმინდი და პური. აღიდა მდინარეები და დღელები, გააფუქა გზები; მოიტაცა ხიდები. ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელი გახდა. ადგილები მდინარეები გაშმაგებით მოედო სოფლებს. ახარობს ცხოველებს, ანგრევს და მოაქვს სახლები, იტაცებს აღამიანებს. მავალითად სოფ. ზუბი 3—4 მოსახლეს გამოკლებით ისე აღგავა დედა-მამის ზურგიდან, რომ იქ დღეს რიყეა და ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ იქ ოდესმე სიცოცხლე სჩქედა და მოსახლეობდა ვინმე. 23 მოსახლე გაანადგურა და ორმოცამდე კაცი გამოასალმა წუთით სოფელს.

მეორე სოფ. ისურდრის ნახევარი მხარე ჩამოშავებულია მეწყერისაგან. დაუჯერებელი ამბები მოდის დანარჩენ სოფლებიდანაც. დაწერილებითი ცნობები დახარალებულთა რაოდენობის შესახებ ჯერ არ ვიცით. მაგრამ ცხელი სტიქიის მსხვერპლი დიდია. აქაურებს გარკვეული ყვედათ საქონელი სვენეთის მთაზე საბოლოოთ. ბევრი ფიქრობდა და სიხარულს ედღეოდა, რომ ხარებშიანიც გადურჩა, მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა. გამოირკვა, რომ მთაზე თითქმის ერთი არმინა თოვლი დასდო. უკრძნიათ რა სიცოცხე პირუტყვებს, წამოხლან დაბლისკენ, გზაში გადახტილან ხევში და ბევრი მათგანი დახოცია.

ვენახების მდგომარეობა ასეთია: იმ მემამულეს, რომელსაც ორი წლის საყუფი ღვინო მოსდიოდა, წელს რამოდენიმე თვის სარჩო თუ მოუვიდა, კარგია.

სიმინდის ფასი—ბათმანი მანეთია. ვიმეორებ—შვავ-მეწყერისა და აღიღებულ ლეღ-მდინარეების მიერ გამოწვეული უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ლეჩხუმის მარჯვენა სურათდებოა, მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ესლაც მშინერთ—მეტი შიმშილი მოელოსთ და შორს არ არის ის დრო, როდესაც შიმშილი მთელს სივრცე-სივრცით წარსდგეს მათ წინაშე და თავისი სასიკვდილო ცელი ამოქმედოს. საქირა დაუყურებელი დახმარება.

განათლების მხრივ ლეჩხუმი მეტად ჩამორჩენილი კუთხეა. 8—9 სოფელს ისე გაცივლით, რომ ერთი სამრეწლო შკოლა არ შეგვხვდება. წერა-კითხვის მკოდნე სათლით საძებარია. რაც შეეება გზებს, ამდენ ხანაც არ ვარკოდა, თორემ ამ ავღრების შემდეგ ხომ უგზობობისა გამო მთლიად მოწყდა ლეჩხუმი ქვეყანას.

ერთ კვირაზე მეტია ქუთაისისა და ცაგერს შუა ფოსტის მიმოვლა შეწყვეტილია. არა ვიცით რა სხვა, ჩვენგან მოზარებულ ადგილების შემსახებ, მუდუ.

შემოწირულება.

სოფ. შროშაში, 21 ივანობისთვის, ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენის შემოსავლათნ ერთად ეჭრითაც შემოსწირეს სამკითხველოს სასარგებლოდ შემდეგმა პირებმა.

- ღვ. კირილე ლამაზიძე—3 მ. ალექსანდრე როსტ. თაბაგარმა—5 მ. ვარლამ ნიკ. ჩხლაძემ—2 მ. ნუქ. ალფ. ჩხლაძემ—3 მ., ნიკოლოზ მაკ. თაბაგარმა—2 მ., ფერუმა თაბაგარმა—1 მ., სიმონ ხარ. ლამაზიძემ—3 მ., იასონ გველესიანმა—1 მ., სველი ივ. სამხარაძემ—1 მ. და 50 კ., სველი გიორგის ძე შევლიძემ—2 მ., დავით დიმ. გველესიანმა—1 მ., გრიგოლ ნიკოლოზის ძე გველესიანმა—1 მ., ვლადიმერ სილიონის ძე შევლიძემ—1 მ., ლევანტი სპირიდ-ძე გაჩიჩილაძემ—1 მ., ნიკოლა საყვარ. გველესიანმა—1 მ., აფრასიმ გველეს. მახარაძემ—2 მ., აკაკი პავლეს ძე შევლიძემ—50 კ., გრიგოლ თაბაგარმა—1 მ., დავით თაბაგარმა—1 მ., 50 კ., აკაკი ლამაძემ—1 მ., გიორგი ლამაძემ—1 მ., ბესარიონ სამხარაძემ—1 მ., მკაიროზ მახარაძემ—50 კ., გიორგი ბეს. ლამაზიძემ—1 მ., ივანე გიორგის ძე გველესიანმა—5 მ., ბესარიონ ექვთ. ლამაზიძემ—3 მ., ოლღა მურტაყანის ას. ლამაზიძისმა—2 მ., არტემ მიქელას ძე სამხარაძემ—1 მ., სამსონ გოგინას ძე თაბაგარმა—1 მ., ილიარიონ სტეფანეს ძე შანიძემ—4 მ., ოლია შარაბაძემ—2 მ., ალექსანდრე სოლ. კოლანაძემ—1 მ., მელიტონ ერასტის ძე ნიქებრიძემ—1 მ., 50 კ., მეღატონ როსტომის ძე შევლიძემ—1 მ., აბესალომ შევლიძემ—3 მ., აბსთაწავე წარმოდგენის მოწყობებში და იმ დღეს მოსული სტუმრების მიღებაში დიდი დახმარება გაკვიწყეს.

სველ ივ. სამხარაძემ, ალექსანდრე კოლანაძემ, ილია გრიგ. თაბაგარმა, სველ გიორგ. შევლიძემ, ელიზბარ ოქრობარისძე შევლიძემ, ლენტოზა ბლუაშვილმა, ვასიკო სამხარაძემ, ივანე სიმ. სამხარაძემ, სამსონ გოგ. თაბაგარმა, სიმონ ხარტიონისძე ლამაზიძემ.

ზინობია ჩხლაძისა, მარუსია ჩხლაძემ, სარა ლამაზიძემ, ქეთო ლამაზიძემ, ქეთონა ლამაზიძემ, მარია ლამაზიძემ, დარიკო ჩხლაძემ, ნინა ნიქაშვიძემ, მარუა ბლუაშვილისა, რანის ჩხლაძემ, ოლღა ლამაზიძისა, ვეა სამხარაძისა, ნელიონა თაბაგარისა, ქრისტინა გველესიანმა, მართა გველესიანის ას-მა, და ცაცია ნიქაშვიძემ.

წარმოდგენიდან და კრძო საშობლოდ დადნ სულ შემოვიდა: 202 მ. 70 კ.

აქილანა გასაყიდა **მედიკალური ბიბლიოთეკა** თუ ვინმე კვირის იმეგნება და ჩეველი რიზ სამკითხველოს რამეს შემოსწირავს, შეუძლია გამოგზავნოს ამ აღრუსით: **სტ. ძვერუი. ძლი შროშოკი ბიბლიოთეკა-ჩითალი.**

ანუ **კუთანს. ქლენუ კომიტეა შროშოკი ბიბლიოთეკა ალექსანდრე როსტომოვიჩე ტაბაგარი ძლი თოი ჯე ბიბლიოთეკა ჩითალი** შროშის სამკითხველოს მხრუნველი კო მიტეტი უღრმეს მადლობას უხდის ზემოსხენებულ პირებს თანაგრძობისათვის. შროშის სამკითხველოს საპატრო წვერი **ვალიკო ჩხლაძამ.**

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო, უმოწიჩეუსად ცთხეთ თქენი გასკეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუხდადოთ შეგვლისა კლდააშვილის ასულს იასკეაიანისა და სამკანსტანტის ძე იოსკეაიანს, რომელთაც კეთილ იმეებს და წყაღტუბას წიგნსაც—სამკითხველოს ათათი მსხეთი შემოწირეს. განსუთრებით მადლობას ვუდენით სასს, რომელმაც ამს გარდა წყაღტ. კეკელიას ოცდასეთი მსხეთი შემოსწირა.

კომიტეტის წევრთაგანი—სოფლომან იოსკეაიანი.

დაღათ პატეგეშულო ბ. რედაქტორამ!

ამ რამდენიმე თვის წინეთ, როდესაც სამშობლო მსარემ დაჯარგა თავისი სულის შესაღმულე დადი აკაკი, იმ ჟამად ქუთაისში შეთავაზ სტუდენტთამ გადსწავლა აქტიური მოსწავლეთა მიედი ჩვენი საიმიყის დასოფლავებაში: ამისთვის არჩულ იქნა სტუდენტთა კამისია. ამ კამისიას თუ რა უნდა გაკეთებია, ეს თავის დროზე უმეტი ეყო აღნიშნულა ჩვენს გასკეთებში. სხვათა შორის, ამ კამისიას უნდა შეეგრძეობა სტუდენტთა შორის ფული აკაკის ფინანს გასაძღვრებლათ, რაც შესრულებულ იქნა კამისიას წევრების მიერ. მაგრამ, სხვადასხვა მიზეზებისა გამო ეს ფული დღესაც გაუგზავნული დარჩა (რისთვისაც მე, როგორც ერთი ეფოული წევრი აღნიშნულ კამისიის, ბოდაშს ვიხედა საზოგადოების წინაშე). ამ ჟამით გასკელებთ ჩემთან შეხსულ 13 მან. და უმოწიჩეუსად ვთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ...)

*) ესთოვთ კომისიის სხვა წევრებსაც წარმოდგენიან მათთან შეხებული ფული, რომ ერთად გადაეცეთ დანიშნულებისამებრ. **ჩად.**

რედ. გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

თ. მთავრიშვილის და აახ.

წიგნისა და საანატომიკო მალაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ **გამოვიდა**

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 კ. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **გაგანული სიტყვიერებითი ქრისტომატიკა: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარო ნივთები. **თ. მ.**

ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენიერად მოწყობილი განებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემოკობილ ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რომინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახოლო სოფელი და ლუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანაოგვე. წყალი საზოგადოთოდ მოქმედებს ავთომეფებზე. შემტესად ურმით მოყვანილი ავთომეფო, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნებს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავთომეფობას, კაქების ტკევილს, ტანის ქავილს და სხვას. **აბანოს მოიჯარადრე ად. ღვალაძე. თ.**